აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი
ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

5 აპრილი, 2019

დადგენილება № 41(18/19)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 4 ივნისის დადგენილებაში № 94 (17/18) სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/ გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექნიზმების დამტკიცების შესახებ ცვლილებების შეტანის თაობაზე

შეტანილი ცვლილების საფუძველზე ქვემოთ აღნიშნული მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

მუხლი 36. მობილობის უფლების მოპოვება

36.1. სტუდენტები ვაკანტურ ადგილებს დაიკავებენ კონკურსის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით, იმ პირობის დაცვით, რომ კონკურსანტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული არჩევითი დისციპლინა აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ ერთ-ერთ არჩევით დისციპლინას, ხოლო მაგისტრატურის სტუდენტებს მობილობის უფლება ექნებათ მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელიც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). საბაკალავრო, ერთსაფეხურიანი, სამაგისტრო და ინტეგრირებული პროგრამების სტუდენტებისათვის მობილობის პროცესში გათვალისწინებულ იქნას ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობები.

თავი X . საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

მუხლი 41. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში:

41.1. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში სტუდენტებს ეძლევათ რეკომენდაცია სწავლა განაგრძონ მოდიფიცირებული პროგრამაზე, ხოლო გაუქმების

შემთხვევაში სწავლა განაგრძონ თავსებად, მომიჯნავე, მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე, ან მობილობის წესით გადავიდნენ სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დასესებულებაში.

41.2. სადოქტორო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტს მიეცეს უფლება მობილობა განახორციელოს მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამაზე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადგენილებით და სადოქტორო პროგრამით დადგენილი დამატებითი მოთხოვნების გათვალისწინებით;

41.3. პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში აწსუ ითვალისწინებს სტუდენტთა კანონიერ ინტერესებს, ხელს უწყობს შიდა და გარე მობილობის პროცესში და კონსულტირებას უწევს შესაბამისი პროგრამების შერჩევაში.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი